



ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის საბრენებულო



გ ა ნ გ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 441 -

“ 29 ” დეკემბერი – 2020 წ

ა. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.18.847) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 28 დეკემბრის №20.1597.1937 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.18.847) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული №01202615024-67 (№01203161636-67; №0120352764-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



**განკარგულება - N 20.1597.1937  
28 / დეკემბერი / 2020 წ.**

ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.18.847) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწოდების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 18 სექტემბერს N01202615024-67 (N01203161636-67; N0120352764-67) განცხადებით მიმართა გიორგი გოგელიამ (პ/ნ 01008048993) და მოთხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.18.847) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.18.847; 7100 კვ.მ). ტერიტორიაზე შესვლა განხორციელდება საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით (საკადასტრო კოდი: N72.16.18.067) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე გზის მოწყობით, რაზეც გაცხადებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი თანხმობა (N61-01202953360; 21.10.2020). ხოლო სატრანსპორტო კავშირი სორციელდება ხსენებული გზის გვაჭაბის ქუჩასთან შეერთებით. საპროექტო ტერიტორიას სამხრეთით ესაზღვრება სეზონური მდინარის გარემოსდაცვითი შეზღუდვის 25 მ-იანი არეალი, ხოლო ჩრდილოეთით სს „ენერგო-პრო ჯონჯიას“ კუთვნილი 35 კვ. ძაბვის საპარკო ელ. გადამცემი ხაზის განაპირა სადენებისგან 7 მეტრიანი შეზღუდვის არეალი, რაც გათვალისწინებულია პროექტირებისას.

„ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისშე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.18.847) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 ივლისის N221 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით, არსებული ზონის (საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)) შესაბამისად. დაგეგმილია ტერიტორიის 15 საკადასტრო ერთეულად დაყოფა, სადაც 14 ნაკვეთი გათვალისწინებულია ინდივიდუალური ერთბინიანი სახლებისთვის (სზ-1), ხოლო ერთი ნაკვეთი, დასავლეთ მხარეს, დამატებით გზისთვის, რომელზეც გავრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

საპროექტო კოეფიციენტები: კ-1=0.5, კ-2=0.8, კ-3=0.3

მაქსიმალური სიმაღლე - 10 მ

არსებული ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1(სზ-1)

საპროექტო ზონირება -საცხოვრებელი ზონა 1(სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1)



„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაშე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაშე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა დამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო საშასურის 2020 წლის 13 ნოემბრის N01203182576 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო საშასური, კომპეტენციის ფარგლებში, თანაზმაა N72.16.18.847 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 22 დეკემბრის N0120357315 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და უფექტურობის გაზრდა, მათ შორის, ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განაზღება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დამტკიცებული განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქებანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საშოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული წებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ

ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმით საპროექტო ტერიტორია ვითარდება არსებული ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) შესაბამისად და დაგეგმილია ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების, დაბალი ინტენსივობის კომპაქტური და კომუნიტული დასახლების დაგეგმარება. მნიშვნელოვნად წესრიგდება საქვეითე ინფრასტრუქტურა, რაც ასევე დადგებით გავლენას აძლევს საერთო სიმწვანის შენარჩუნებაში. დაცულია არსებული შეზღუდვის არეალების მოთხოვნები.

ყოვლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ შემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.18.847) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების შესახებ“ ქალაქ თბილის მუნიციპალიტეტის საგრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მეტრის მე-6 პუნქტის, ასევე, N01202615024-67 (N01203161636-67; N0120352764-67) განცხადებაზე ქალაქ თბილის მუნიციპალიტეტის სიპ - ქალაქ თბილის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, სოფელ შემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.18.847) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირები პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებულად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის სახლი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი





ერავნული მუნიციპალიტეტის  
სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: 61-01202953360  
თარიღი: 21/10/2020  
ბინი: 3858

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის  
ადრესატი: ოურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო  
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

სსიპ ქონების მართვის სააგენტომ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 2020 წლის 21 ოქტომბრის N16-01202952895 (12-01202953041-61) წერილი, რომელიც ეხება საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმების საკითხს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 72.16.18.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ნაწილზე). აღნიშნულთან დაკავშირებით ითხოვთ სააგენტოს პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 72.16.18.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე, შეთანხმდეს საპროექტო გზა, წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის სქემის მიხედვით.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე  
სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი





# ერავნული თბილისის მუნიციპალიტეტის მარია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01203182576

თარიღი: 13/11/2020

პინ: 5213

გადამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპიუტორის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 11 წლის №01203161636-67 განკუთხული რომელიც ეხება, სოფლი ზემო ლისში მდგბარი მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.16.18.847; ფუნქციური ზონა: საკუთრის ზონა 1) ინდიგიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდინარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის „შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიკიპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდაგინის წესის დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიკიპალიტეტის საკრიბულოს 2014 წლის 12 დიკიმბრის №17-55 დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საჯამისალზე და საქართველოს გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გადარგვის ნაკლად №72.16.18.847 საკადასტრო ერთიანზე მოიჭრას პროექტის განხორცილებისათვის ხელისშემმლები 2 ძირი ჯანსაღი (№1 და №2) ძეგლის ბუჩქი მშენებლობის ნებართვის გარემოს პროექტის დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, წარმოდგინილი დოკუმენტია მოიცავს სარეკონაციო ტერიტორიების სისტემას, გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) საანგარიშო ფართობის მითითებით (1 775 82).

რაც შეისწია საპროექტო ტერიტორიის გამწვანების დეტალურ პროექტს, აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება მიღებული იქნება თითოეული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებისას, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურის ფარგლებში, დეტალური პროექტირების დროს.

კონკლივ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპიუტორის ფარგლებში თანახმად №72.16.18.847 საკადასტრო ერთიანზე დამტკიცდის ინდიგიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია პვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო  
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო**



წერილის ნომერი: 0120357315  
თარიღი: 22/12/2020  
გინი: 6837

გადამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

2020 წლის 17 დეკემბრის N0120352764-67 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, სოფელი ზემო ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.16.18.847) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიციას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძვლზე გაანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები მისაწვდომობის ფარგლებში (10-15 წთ ფეხით სავალ მანძილზე) და გააჩნია რეზერვი. ამავე დროს, ახალი საავტობუსების მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორიებზე განახლდება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და მესამეული საუბნო შემკრები საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი. აღნიშვნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს, გააჩნდება დამატებითი რეზერვები და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

ტერიტორიაზე დაგეგმილია დაბალი ინტენსივობის კომპაქტური და კომფორტული დასახლების მშენებლობა, საპროექტო არეალის ქაოტურად განვითარების პრევენცია და ერთიანი სიმწვანის შენარჩუნება.

მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაწესრიგებელია საქვეითე ინფრასტრუქტურა. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ტროტუარი არ არის. თუმცა გზების პარამეტრები იძლევა მათი მოწყობის საშუალებას. აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწყესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.

საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორიასთან დამაკავშირებელი ძირითადი მიმდებარე გამტარი კვანძები მნიშვნელოვნად არ იტვირთება. დაგეგმილი არქიტექტურული პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.


ზემოაღნიშვნულიდან გამომდინარე, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია გვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი




მდგრადი	
28	კუთხისტუმშებას
A.3/1.50	საკუთხისტუმშებას
ჭრის მიზნის	საკუთხისტუმშებას
—	საკუთხისტუმშებას
- - -	საკუთხისტუმშებას
—	საკუთხისტუმშებას
—	საკუთხისტუმშებას

ნაკვეთის პირობის ნორინი	ნაკვეთის ფურთის	სამეცნიერო გამოყენების სტატუსი	ჩრდილოების დაკლიმატიზაციის / გაუმჯობესების დანიშნულება	მნიშვნელოვანი ნივთიერების გაუმჯობესება / გაუმჯობესების დანიშნულება
1	419	სამეცნიერო	დასასმენება	არასამორფო
2	234	სამეცნიერო	დასასმენება	არასამორფო
3	234	სამეცნიერო	დასასმენება	არასამორფო
4	234	სამეცნიერო	დასასმენება	არასამორფო
5	315	სამეცნიერო	დასასმენება	არასამორფო
6	406	სამეცნიერო	დასასმენება	არასამორფო
7	780	სამეცნიერო	დასასმენება	არასამორფო
8	691	სამეცნიერო	დასასმენება	არასამორფო
9	459	სამეცნიერო	დასასმენება	არასამორფო
10	365	სამეცნიერო	დასასმენება	არასამორფო
11	235	სამეცნიერო	დასასმენება	არასამორფო
12	235	სამეცნიერო	დასასმენება	არასამორფო
13	235	სამეცნიერო	დასასმენება	არასამორფო
14	492	სამეცნიერო	დასასმენება	არასამორფო
15	1766	სამეცნიერო	დასასმენება	არასამორფო



ପତ୍ରକ୍ଷଣ	30
ଟ୍ରେନ୍ ଏବଂ ସମ୍ବଲିତ ଭାବରେ ଦେଖିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିବାକୁ	ଆବଶ୍ୟକ
ଆଜି 7:50	ଟ୍ରେନ୍ ବୈବାହିକ ରହିବାରେ

ରେକର୍ଡସଂଖ୍ୟା	କୌଣସିଦ୍ଧାନ୍ତ	ରେକର୍ଡସଂଖ୍ୟା	ରେକର୍ଡସଂଖ୍ୟା	ରେକର୍ଡସଂଖ୍ୟା
	ରୋଡ୍ ପାର୍କିଙ୍ଗ୍			ରୋଡ୍ ପାର୍କିଙ୍ଗ୍
1	66.19	-	1	66.66
		66.29	-	66.56
2	66.51	-	2	66.76
		66.40	-	66.47
3	66.46	-	3	66.17
		66.49	-	66.24
4	66.44	-	4	66.81
		66.41	-	66.35
5	66.35	-	5	66.33
		66.35	-	66.44
6	66.30	-	6	66.64
		66.32	-	66.53
7	66.27	-	7	66.31
		66.27	-	66.39
8	66.24	-	8	66.1
		66.24	-	66.24
9	66.21	-	9	66.7
		66.21	-	66.75
10	66.18	-	10	66.40
		66.18	-	66.91
11	66.15	-	11	66.62
		66.15	-	66.54
12	66.12	-	12	66.55
		66.12	-	66.55
13	66.09	-	13	66.71
		66.09	-	66.76
14	66.06	-	14	66.48
		66.06	-	66.51
15	66.03	-	15	66.48
		66.03	-	66.52




ପାର୍କିଙ୍ଗ ବୈବାହିକ ରହିବାରେ ଏବଂ ପାର୍କିଙ୍ଗ ଦେଖିବାରେ ଅନୁରୋଧ କରିବାକୁ  
ଆବଶ୍ୟକ

ଆଜି 7:50  
ଟ୍ରେନ୍ ବୈବାହିକ ରହିବାରେ

ପାର୍କିଙ୍ଗ ବୈବାହିକ ରହିବାରେ  
ଏବଂ ପାର୍କିଙ୍ଗ ଦେଖିବାରେ  
ଅନୁରୋଧ କରିବାକୁ  
ଆବଶ୍ୟକ



ଆଜି 7:50  
ଟ୍ରେନ୍ ବୈବାହିକ ରହିବାରେ







ნოტები	44
აუდიტის მიზანი	აუდიტის მიზანი
ა3/1/150	ა3/1/150
ჭრის მიზანი	საკუთავი წერტილისა საკრიტიკულ წერტილისა საკრიტიკულ გვერდის საკრიტიკულ გვერდის მიზანი 1 საკრიტიკულ გვერდის მიზანი 1 საკრიტიკულ გვერდის მიზანი 1 გამოყენების არეალი რეკომენდაციების წილი საში სარიგული მუნიციპალიტეტი სამუნიციპალიტეტი სამუნიციპალიტეტი



ნაბეჭდური კარტუსი - ფარგლები